

წყაროები. ღოქშენიბები

წერილი ახალციხიდან

„...თქვენ კარგად მოგეხსენებათ მესხეთ-ჯავახეთი თვითმპყრობელი მეფისა და მინაგვარი მენშევიკების დროიდან ერთ-ერთ უბნელეს კუთხეს შეადგენდა მთელს საქართველოში, რომელიც მოკლებული იყო სწავლა-განათლებას და ყოველგვარს კულტურულს განვითარებას, ხოლო გამეფებული იყო მის მოსახლეობაში მრავალ ეროვნათა და სარწმუნოების მალიარებელთა შორის სრულიად უფიცობა და ველური ცხოვრება, ცხოვრება არაადამიანური, რაც გამოწვეული იყო პოლიტიკურად ზერელედ ხსენებული ხელისუფლებისაგან. მაგალითად: სომეხი თათარს აუსია, კათოლიკე ქართველები სომხის ერს დაუმონავა, რის გამო თითქმის მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში დავა აუტეხა და სასტიკი შური და მტრობა ჩამოაგდო...

შემდეგ 1829-ში რუსმა რომ აილო ჩვენი კუთხე და იმ დროს აზრუმიდან გრაფ პასკევიჩმა III ათასი სომეხი გადმოსახლა ჩვენ კუთხეში, მაშინ ახლად გადმოსახლებული სომეხ-კათოლიკეები დაეპატრონენ ქართველ კათოლიკეთა კლესიებს და თვით ქართველ კათოლიკებსაც სომხად ნათლავდნენ; და ამის თანახმანი რომ არ იყვნენ ჩვენი კათოლიკენი ქართულს ენაზე მოინდომეს წირვა-ლოცვა, მარა ამის წინააღმდეგ აღექსანდრე II-ემ 1886 წ. “Высочайшее повеление” გამოსცა, რითაც აღუკრძალა კათოლიკე ქართველებს ლოცვა თავიანთ ეკლესიებში... ასეთ ველურ ცხოვრებას განიცდიდა გასაბჭოებამდე ჩვენი მესხეთჯავახეთი. და დღესაც გასაბჭოებასაც კი ბედავენ ასეთს ნაციონალურს და შოვინისტურს პოლიტიკას, რომელთა ასეთს ფაქტებს ქვემოდ აღვნიშნავ, რაც ინვეეს ეროვნებობას ურთერთშორის, არევ-დარევას, შეხლა-შემოხლას და დაუბოლოვებელს უსიამოვნებას.

დავინწყოთ ძველი ფაქტებიდან დაშნაკთა საგმირო ჩადენილობა: 1917 წლის თებერვლის რევოლუციის გადატრიალებისას უსულხაჩაოს მეთაობით დაშნაკები შეცვივდნენ ხაზინაში და მოსამსახურენის ეროვნებანი აღწერეს და არა სომეხი გვარის თანამშრომლებს გამოუცხადეს, იქიდან წასულიყვნენ, რადგანაც სომხებს გვეკუთვნის აქაურობაო. იმავე წელს, ვარციხის ადგილობრივ გიმნაზიაში, დიდი არეულობა და აურზაური ასტეხეს დაშნაკებმა, ანჯელოვის თაოსნობით /დიდი ყოფილი ვაჭარი/. გიმნაზიის დირექტორი სერგო დანელია, ოთხი ქართველი მასწავლებლითურთ გადააგდეს და იმათ მაგივრად სომხები დანიშნეს. იმავე გიმნაზიაში მისი

დაარსებიდან 1890 წ. სომხებმა თავიანთი ენა შეატანიეს ადმინისტრაციას სასწავლებლათ, ხოლო ქართული ენა უარყოფილი იქმნა.

ჩვენი დაჟინებული მოთხოვნის შემდეგ კვლავ აღადგინეს, მაგრამ ქართული ენის მასწავლებლის ხელფასი 5 მანეთი დანიშნეს თვეში, იმ მიზნით რომ ამ ხელფასში არავინ იმსახურებდა, მაშინ პრინციპის გულობისა მე ვიკისრე 5 მანეთის ხელფასზე სწავლება, როდესაც არავინ იკისრა.

1918-19 წწ. სომხებმა უსულხაჩოს თაოსნობით გაამწვავეს თათრების ალა-ბეგების მიერ ქართველებისადმი დავა, რომლებიც მოითხოვდნენ ახალციხეს დაპატრონებოდნენ. სომხებმა დაშნაკებმა თათარ-ქართველთა შორის დაინყეს ორჭოფული აგიტაციები და გამოიწვიეს მესხეთ-ჯავახეთს დამლუპველი და გამანადგურებელი ომი. შეუჩნდნენ ქართველებს: არიქა ქართველობო, ჩვენც თქვენც ვართ, დავეკრათ ურჯულო თათრებს, ოსმალოს გაბატონებას ცდილობენ ქართველების კუთვნილ სამფლობელოში. და იმავე დროს მაჰმადიანებს ეჩურჩულებოდნენ: ახალციხე თქვენია დასცხეთ ქართველებსო... ასეთი პოლიტიკა დაშნაკებისა გამოწვეული იყო ნაციონალურ ნიადაგზე, იმ ატეხილი ომით წყალი ააღვრიეს თავიანთ სასარგებლოდ, ქართველების დახმარებით ცდილობდნენ მაჰმადიანების განყვეტას, რითაც სისხლს იძიებდნენ თათრებზე, სომეხთათართა შორის არსებული სისხლისღვრის გამო, რაც სწარმოებდა კავკასიის ყველა დაბა-ქალაქ-სოფლებში.

ნაციონალურ ნიადაგზე რო ეპატრონებიან ჩვენს კუთხეებს იქიდანაც ნათლად ჩანს, რო ძველს ისტორიულს ძეგლებზე, ქართულს ხუცურ წარწერებს ფხეკავენ და ნაცვლად სომხურად აწერენ, მაგ.: სოფ. ალასტანში /ჯავახეთი/ ძველ ეკლესიაზე, ხუცური წარწერა რომელიც 20-30 წლის წინედ ჩემის თვალით მინახავს, ის ხუცური წარწერა და მამაჩემს ივანე გვარამაძეს, რომელიც ისტორიკოსი და არქეოლოგი გახლდათ, 1880-იან წლებში ჯავახეთის და მესხეთის ძველი ისტორიული ძეგლებიდან ყველა წარწერები ხუცური და მხედრული, თავის არქეოლოგიურ მგზავრობაში გადმოწერილი აქვს, რომელიც ჩემთან ისევ დაცულია და იმ დროის გაზეთებში „დროებაშიაც“ აღუნიშნავს. ეს ალასტანის წარწერა ხუცური გაუჩინარებულია და მის ნაცვლად სომხურად დაუწერიათ, რომელიც ვნახე 2-3 წლის წინედ ჩემის თვალით.

ეს ცნობა სიძველეთა კომიტეტს მოვახსენე და გაუჩინარებული ხუცურის წარწერის ტექსტიც გადაუგზავნე. ასევე აქვთ წაფხეკილ ხორენიაში, განმაში და სხვაგან /ჯავახეთი/ და მის ნაცვლად სომხური წარწერები ჩანს იქაც.

ასპინძის რაიონში, ახალქალაქის გზატკეცილზე ხვილიშის ძველ ეკლესიაში ტამალის სომხებს შეუტანიათ სომხურად ნაწერი ოთხ-

კუთხი ქვა ეკლესიის დასაპატარავებლად. ის კი დავიწყებით რო, ეკლესიის კედელზე ზევით ხუცური წარწერა იყო, რომელიც ალბათ მათ სომხური გონებით, რადგან ასომთავრული ხუცური ძალიან წააგავს ძველ სომხურ ნაწერს. ასე რომ არ გონებოდათ იმასაც წაფხეკავდნენ თვარა თავიანთ გასამტყუნარის ქართულს საბუთს არ დატოვებდნენ...

ამით ისტორიული სინამდვილის კანონებს არღვევენ და ამახინჯებენ, ამისთვის მომყავს ასეთი საბუთები, თვარა მე არავითარი სიძულველი არ მიმიძღვის მათდამი, რასაც ნათლად ამტკიცებს ჩემს სიცოცხლეში სომხებთან ამხანაგური განწყობილება, ჩემი მცირე საზოგადო ლიტერატურული მოღვაწეობის ნიმუშებიდან, როდესაც სომხური ლიტერატურიდან ქართულად ნათარგმნი მაქვს შხიანცის „ნაკადული“ და სხვები.

აღმასკომის მდივნის საშა არგუთიანის დაშნაკთა წარმომადგენლის თაოსნობით, რომელთა პოლიტიკა იყო ნაციონალური და ეპატრონებოდნენ ახალციხეს, ასეთ ნიადაგზე მათ აღმოაჩნდათ ახალციხის ისტორია რემენგტონზე დაბეჭდილი, სადაც სხვათა შორის ეწერა – რაბათში /ახალციხის ძველ ნაწილში/ 70-იან წლებში 700 სომეხი ცხოვრობდა და რამოდენიმე ქართველიო და ასეთსავე ცრუ ცნობებს აწვდიდნენ გარეთგან მოსულ ექსკურსანტებს, ტურისტებს...

ეს ისტორია მე ხელში ჩამივარდა 1924 წელს... ეს დაშნაკები წინააღმდეგი იყვნენ აქ მუზეუმის და არქივისაც, რომლის გამგედ მე ვიყავი. არ მაძლევდნენ შესაფერის ბინას... ბინიდან ბინაზე მატარებინებდნენ საარქივო ფონდებს, მის გამო გზადაგზა ირეოდა და იფხრინებოდა. 12 წლის განმავლობაში 15-16 ჯერ უცვალეს ადგილი არქივს, რითაც განადგურების გზას მიაყენეს... რაც ცენტროარქივსაც ვაცნობე და პოლიტბიუროსაც და ცაკ-ის თავმჯდომარე ამხ. ფ. მახარაძესაც. მარა ყველაფერი უშედეგოდ დარჩა, ცაკ-ის თავმჯდომარის ბრძანებამ ტყვილა გაიარა, არც არავის გამოუძიებია და არც არქივისთვის მიუციათ შესაფერის ბინა. გარედან მოსული დაშნაკები ვითომდა სამეცნიერო მუშაობის მიზნით კიდევ მეტს მავნებლობას ეწევიან, აწარმოებენ აგიტაციებს ნაციონალურს და შოვინისტურს ნიადაგზე ადგილობრივ მოსახლეობაში.

ორიოდე წლის წინად ცენტროარქივიდან მოვლინებული გიორგი ბოჭორიძე, ეკლესიებში, რაც სამუზეუმო ისტორიული წიგნები იყო ჰკრებდა სათანადო მანდატით მუზეუმისათვის, სომხების ეკლესიების გარდა, ყველა ეკლესიებმა ულაპარაკოთ გადასცეს ბოჭორიძეს ისტ. წიგნები. სომხების მღვდელმა აზნაუროვმა ეპისკოპოსის შუეკითხვად არ გადასცა წიგნი, რისთვისაც პროკურორს გამოეცხადა აზნა-

უროვის ასეთი საქციელი. პროკურორმა ოდებაშინმა აზნაუროვს დაუჭირა მხარი და ბოჭორიძეს ეუბნება: თქვენი ცენტრის კანონი აქ არ იკანონებს, რადგან საზღვარია აქ, ჩვენებური კანონები გვაქვს, როგორც საზღვარს შეჰფერისო... ა.წ. აგვისტოში ერევნიდან მოგვევლინა ეთნოგრაფიული ექსპედიცია, ისტორიკოს სტ. ლისიციანის ხელმძღვანელობით. ლისიციანი მესტუმრა სახლში და გამიზიარა თავისი ჩვენში მოსვლის მიზანი... სხვათა შორის გააბა საუბარი, თქვენ კათოლიკები სომხურად ლოცულობდით მეფის დროს, სომხები ხართ და რატომ ქართველობთ? მამაშენიც ივანე გვარამაძე სომხური ენის კარგი მცოდნე იყო, ვენეციაში სომხურად გაიზარდა და ბოლოს ისიც გაქართველდა... ჯავახეთში ეკლესიებზე ქართველებს სომხური წარწერები წაუხოციათ ქართული წარწერებითო. მე ჩამეცინა უნებლიეთ. ლისიციანის ყველა ნალაპარაკევი სიცრუეს შეადგენდა, იძულებული გავხდი შესაფერი ისტორიული საბუთების მოყვანით გავმასპინძლებოდი, რითაც ხმა გავაკმედიწე. გამოთხოვებისას პერგამენტზე წაწერი წიგნები მთხოვა საყიდლად, რომელიც ჩემთან ნახა. მე უარი უთხარი საქართველოს მუზეუმს უნდა გადაეცე, როგორც მისი ტერიტორიის წიგნი მეთქი. ლისიციანი ჩემგან ლევან ბაიბურთელის სახლში წავიდა, როცა ოთახში შოთა რუსთაველის სურათი ნახა დაკიდებული, სახლის პატრონს უსაყვედურა, თქვენ ხომ სომხები ხართ, რათ გინდათ რუსთაველი დაგიკიდიათ ოთახშიო.

ლისიციანმა ინახულა ადგილობრივი პროკურორი ოდიბაშინი და სახ. მოსამართლე, რომელთაც დაავალა: ამ ცოტა ხანში მოხდება გამორკვევა დაწესებულებებში, თუ რა ენაზე უნდა სწარმოებდეს მუშაობა, თქვენ ეცადეთ და სომხური ენა მოითხოვეთ, ეუბნება ლისიციანი და თუ არ გატარდეს თათრების მრავალრიცხოვნების გამო, მაშინ უეჭველად რუსული ენა მოითხოვეთ, ოღონდ ეცადეთ ქართული ენა არ შეიტანოთო.

ლისიციანის ჩვენში მოსვლის ორი კვირის წინედ არალეგალურად დაძვრებოდა უმანდატო ექსპედიცია, რომლის ვინაობა ვერ გავიგეთ, თუმცა ბევრი ზომა მივიღეთ გაგვეგო. ისიც ნაციონალურ ნიადაგზე ეწეოდა აგიტაციას, რაბათლებს უმტკიცებდნენ ქართველ კათოლიკეთა ჯვრის ეკლესია სომხების აგებულიაო...“

დიდი პატივისცემით კოტე გვარამაძე
1936 წ. ქ. ახალციხე



სომხურ-წარწერიანი ფილა ახალციხის მუზეუმიდან
Plate with Armenian inscription from the Akhaltsikhe Museum

წარწერის ქართული თარგმანი

ნიკოლოზ პავლეს-ძის რუსეთში მეფობის დროს, მოხდა ომი ოსმალეთის სულთნის, მაჰმუდ მეორის წინააღმდეგ. რუსმა მხედართმთავარმა, გრაფმა პასკევიჩმა, 1828 წლის 15 აგვისტოს გაათავისუფლა ქ. ახალციხე, ყარსი, ბაიაზეთი და კარინი.

1829 წელს დაიდო ზავი და დაიბრუნეს ესენი.

1830 წელს ტერ-არქიეპისკოპოს კარაპეტას ხელმძღვანელობით, კარინის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობა, დაახლოებით 6000 ოჯახი მღვდელთმსახურების თანხლებით გაემერთა ახალციხისაკენ.

ეს სამახსოვრო წარწერა დატოვეს სომხური ეკლესიის „წმინდა მაცხოვრის“ მშენებლობის საძირკვლის ქვეშ 1828 წლის 15 აგვისტოს ახალციხის ალების აღსანიშნავად.

მისმა უდიდებულესობამ, მთელი საქართველოს ნაცვალმა, როზენ I მეფის 1836 წლის 4 ივნისის უმაღლესი ბრძანება, რომლის თანახმად „წმინდა მაცხოვრის“ ეკლესიის საძირკველი უნდა კურთხეულიყო.

საზეიმო ვითარებაში, რომელსაც უამრავი ხალხი ესწრებოდა, კურთხეულ იქნა „წმინდა მაცხოვრის“ ეკლესიის საძირკველი მისი აღმატებულების, კარინიდან გადმოსახლებულთა წინამძღოლის, არქიეპისკოპოს კარაპეტას მიერ.

სამახსოვრო წარწერა, დანერილი ამ დაფაზე, ჩადებული იქნა ეკლესიის მშენებლობის საძირკველში, მომავალ დროთა საჭიროებისათვის.

Translation of the Armenian inscription

During the reign of Nicholas I, Russia waged war against Mahmud II, the sultan of the Ottoman Empire. The Russian general, Count Paskievich, freed the city of Akhaltsikhe, Kars, Bayazit and Karin on August 15, 1828.

In 1929 the peace treaty was signed and these (cities: Kars, Bayazit and Karin) were returned (to Turkey).

In 1830, urged by Archbishop Karapet, some 6000 families, residing in the city of Karin and (nearby) villages accompanied by their clergy made for Akhaltsikhe.

This memorial inscription was placed under the foundation of the Church of “Holy Savior” on August 15, 1828 to mark the liberation of Akhaltsikhe.

His Majesty, the Vice-Roy of All Georgia, Rozen I issued an edict according to which the foundation of the church of “Holy Savior” was to be consecrated.

Numerous people attended the festivities, and the leader of the resettled refugees, His Holiness, Archbishop Karapet consecrated the foundation of the Church of “Holy Savior”.

The memorial inscription, written on this plaque, was placed in the foundation of the church building for future needs.